გაბრიელ ა. ალმონდი. კაპიტალიზმი და დემოკრატია

გაბრიელ ა. ალმონდი (1911-2002) - პოლიტიკის მეცნიერების პროფესორი, სტენფორდის უნივერსიტეტი. ამერიკული პოლიტიკური მეცნიერების ასოციაციის ყოფილი პრეზიდენტი. წარმოდგენილი ტექსტი არის ლექციის ჩანაწერი, კოლუმბიის უნივერსიტეტის საერთაშორისო ცვლილებების კვლევის ინსტიტუტი, 1991.

ქართულად თარგმნა თეიმურაზ ბეჟანიძემ (თსუ პოლიტიკის მეცნიერების დოქტორანტი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პოლიტოლოგიის ინსტიტუტის ასისტენტ-მკვლევარი).

ჯოზეფ შუმპეტერმა, სოციალური მეცნიერების წარმომადგენელმა და ბოლო თაობის დიდმა ეკონომისტმა, რომელიც 1930-40-იანი წლების კრიზისებს სიცოცხლეშივე აკვირდებოდა და რომლის კარიერა თანაბრად მოიცავდა ცენტრალური ევროპისა და ამერიკის უნივერსიტეტებს, 1942 წელს გამოსცა წიგნი სათაურით: **კაპიტალიზმი, სოციალიზმი და დემოკრატია.** წიგნმა მკითხველზე დიდი გავლენა იქონია და მისი წაკითხვა დღესაც მომგებიანია. ის დაიწერა დიდი დეპრესიის შემდგომ პერიოდში, 1940-41 წლებში, ფაშიზმისა და ნაციზმის ადრეული ტრიუმფების დროს, როდესაც კაპიტალიზმის, სოციალიზმის და დემოკრატიის მომავალი ეჭვქვეშ იდგა. შუმპეტერმა იწინასწარმეტყველა კაპიტალიზმის დაცემა და სოციალიზმის მომავალი. მას მიაჩნდა, რომ დემოკრატია უფრო მეტად დასუსტებული კაპიტალიზმის პირობებში იქნებოდა, ვიდრე სოციალიზმის.

1946 წელს, მეორე გამოცემის დასკვნით თავში, სადაც უკვე ითვალისწინებდა ომის დასასრულს არსებულ პოლიტიკურ და ეკონომიკურ ვითარებას, როდესაც საბჭოთა კავშირი განადგურებულ ევროპას იყო გადაფარებული, ის ამტკიცებს, რომ სოციალიზმის მომავლის დაკავშირება საბჭოთა კავშირის მომავალთან არამართებუ-

ლია, რამდენადაც ის, რასაც საბჭოთა კავშირის არსებობის პირველ სამ ათწლეულში ვაკვირდებოდით, სავსებით არ წარმოადგენდა სოციალიზმის აუცილებელ გამოხატვას. მასში მეფის რუსეთის ბევრი ნიშანი იყო. შუმპეტერი დღეს რომ წერდეს, მისი ეს მტკიცება დაუჯერებელი იქნებოდა, რომ სოციალიზმს კაპიტალიზმზე ნათელი მომავალი აქვს, რადგან მათ შორის ურთიერთობა ბევრად უფრო კომპლექსური გახდა, ვიდრე ამას შუმპეტერი მოელოდა. მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ ის მაინც მოგვიწოდებს, გამოვყოთ სოციალიზმის მომავალი საბჭოთა და აღმოსავლეთ ევროპის კომუნიზმისგან.

შუმპეტერისგან განსხვავებით, მე არ გამოვყოფ სოციალიზმს ჩემი მოხსენების სათაურში, რადგან მისი მომავალი, როგორც ცალკეული იდეოლოგია და მოქმედების პროგრამა, ყველაზე კარგ შემთხვევაში გაურკვეველია. დასავლური მარქსიზმი და ზომიერი სოციალისტური მოძრაობები, როგორც ჩანს, მიიღებენ სოციალ-დემოკრატიულ გადაწყვეტილებებს და ეცდებიან კაპიტალიზმის და დემოკრატიის ადაპტაციას, რომელიც წარმოქმნის საბაზრო კონკურენციას, პოლიტიკურ პლურალიზმს, მონაწილეობასა და კეთილდღეობაზე დაფუძნებულ მისაღებ სინთეზს. მე შევეხები ბოლო ნახევარი საუკუნის განმავლობაში მომხდარ კაპიტალიზმის სწორედ ამგვარ მოდიფიკაციებს, როგორც მასზე დემოკრატიის გავლენის შედეგს.

იმ დროს, როცა ადამ სმიტმა ,,ერების სიმდიდრე“ დაწერა, გლობალური მმართველობა, პოლიტიკა და სახელმწიფოები - ინგლისის რეფორმამდელი აქტი, ლუი XV და XVI-ის საფრანგეთის მთავრობა - სპეციალური პრივილეგიებით, მონოპოლიებით და ვაჭრობაში ჩარევით სარგებლობდნენ. ამის გამო, ნახევრად ირონიით, მჯერა, რომ პოლიტიკური ცხოვრების ამგვარ პირობებში ეკონომიკის დისციპლინა ტრავმირებული დაიბადებოდა. როგორც წესი, ეკონომისტები საუბრობენ სახელმწიფოსა და მთავრობაზე ინ-

სტრუმენტულად, როგორც მეორადი მომსახურების მექანიზმზე, მე არ მჯერა, რომ პოლიტიკა ყოველგვარი სოციალური და ისტორიული პროცესების გარეშე, წმინდად ინსტრუმენტულ და რედუქციონისტური გზით შეიძლება განვიხილოთ, ეკონომიკა და პოლიტიკა კაცობრიობის პრობლემების გადაჭრის მთავარი მექანიზმებია და მიუხედავად იმისა, რომ ორივეს განმასხვავებელი ნიშან-თვისებები გააჩნია, ისინი აუცილებლად ურთიერთობენ ერთმანეთთან და ამ პროცესში, გარდაქმნიან კიდეც ერთმანეთს. განსაკუთრებით კი დემოკრატია ქმნის მიზნებს და მოქმედების არეალებს. შეუძლებელია ხალხს ხმის უფლება მივცეთ, ან საშუალება, რომ შექმნან პარტიები, იყარონ კენჭი და ა.შ., ყველანაირი იდეის არსებობის და მისი განვითარების გარეშე. ეს იდეები ხან ნასესხებია, ხან შთანერგილი, ზოგჯერ პროდუქტიულიც და ზოგჯერ ჩვენი ცხოვრების გაუმჯობესებისკენ მიმართული, თუმცა ბევრ ეკონომისტს არ სურს სახელმწიფოსთან რაიმე ტიპის დათმობაზე წასვლა.

ჩემი ლექცია დასავლურ სამყაროში, ბოლო რამდენიმე საუკუნის რეტროსპექტივაში, პოლიტიკისა და ეკონომიკის ურთიერთობაზე დაკვირვებას შეეხება. კერძოდ კი იმ ეპოქაზე დაკვირვებით, რომლის დროსაც სწორედ კაპიტალიზმი და დემოკრატია იქცა თანამედროვე ცივილიზაციის ინსტიტუტების პრობლემების გადაჭრაში დომინანტურ, მთავარ პრობლემად. განვიხილავ დემოკრატიისა და კაპიტალიზმს შორის დადებითი და უარყოფითი ურთიერთქმედების საკითხზე არსებულ თეორიულ და ემპირიულ ლიტერატურას. არიან ისეთები, ვინც კაპიტალიზმს დემოკრატიის მხარდაჭერად ან პირიქით, დემოკრატიის დამანგრევლად და დამარღვევლად მიიჩნევენ. სწორედ კაპიტალიზმსა და დემოკრატიას შორის ურთიერთობა დომინირებს ბოლო ორი საუკუნის განმავლობაში პოლიტიკურ თეორიაში, სწორედ ეს ამბივალენტობა და დიალექტიკა, ეს დაძაბულობა ქმნის თანამედროვე საზოგადოების პრობლემების გა-

დაჭრის ორ მთავარ მექანიზმს - პოლიტიკურსა და ეკონომიკურს, რაც არის ჩემი დღევანდელი ლექციის თემაც.

კაპიტალიზმი მხარს უჭერს დემოკრატიას

დავიწყებ იმ არგუმენტით, რომ კაპიტალიზმი დადებითად უკავშირდება დემოკრატიას, იზიარებს მის ღირებულებებსა და კულტურას და ხელს უწყობს მის განვითარებას. განვიხილოთ ამ შემთხვევის ისტორიული, ლოგიკური და სტატისტიკური დაშვებები.

ალბერტ ჰირშმანი, ნაშრომში **„საბაზრო საზოგადოების კონკურენტული შეხედულებები“** (1986), იკვლევს კაპიტალიზმის ღირებულებებს, მანერებსა და მორალს და მათ გავლენას ფართო საზოგადოებასა და კულტურაზე, როგორც ეს აღწერილია მე-17, მე-18 და მე-19 საუკუნის ფილოსოფოსების მიერ. ის გვიჩვენებს, როგორ შეიცვალა განმანათლებლობის ეპოქაში კაპიტალიზმის გავლენაზე მსჯელობა მონტესკიეს, კონდორსეს, ადამ სმიტისა და სხვების მხრიდან, როდესაც ვაჭრობას და ცივილიზაციის ეფექტს მნიშვნელოვანი ყურადღება ექცეოდა. ჰირშმანი ყურადღებას ამახვილებს იმ ტიპის ინტერპერსონალურ ურთიერთობებზეც კაპიტალისტურ კულტურაში, რომლებსაც მე-19 და მე-20 საუკუნის კონსერვატი და რადიკალი მწერლები უსაზღვრო მატერიალისტურად, კონკურენტუნარიანობით დამაზიანებელ, მორალურად გამანადგურებლად და თვითდესტრუქციულად მიიჩნევდნენ. პოლიტიკური თეორეტიკოსების თვალსაზრისებს შორის ცვლილება ნაწილობრივ ადრეული კაპიტალიზმის კომერციულობით, მცირე მრეწველობის ტრანსფორმაციულობით, ინდუსტრიალიზაციით და მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში მუშათა კლასების ექსპლუატაციით აიხსნება. სამწუხაროდ, ჰირში ნათლად არ ეხება კაპიტალიზმის და დემოკრატიის კავშირს, რამდენადაც კაპიტალიზმის კულტურისა და მანერების ჩვენებას. თუმცა, მისი არგუმენტები, კაპიტალიზმსა და დემოკრა-

ტიას შორის, ადრეულ პერიოდში დადებით და მოგვიანებით, ნეგატიურ კავშირს მოიაზრებს.

ჯოზეფ შუმპეტერი ნაშრომში ,,კაპიტალიზმი, სოციალიზმი და დემოკრატია“ (1942) ცალსახად აცხადებს, რომ ,,ისტორია ნათელ დადასტურებას იძლევა იმისა, რომ თანამედროვე დემოკრატია კაპიტალიზმთან ერთად და მასთან მიზეზობრივ კავშირში აღმოცენდა. თანამედროვე დემოკრატია კაპიტალისტური პროცესის შედეგია“. ნაშრომში მთელი თავი ეთმობა ,,კაპიტალიზმის ცივილიზაციაზე“ მსჯელობას, სადაც დემოკრატია ამ ცივილიზაციის ნაწილადაა წარმოდგენილი. ის მიანიშნებს, რომ დემოკრატია ისტორიულად მხარს უჭერდა კაპიტალიზმს და დასძენს - ,,ბურჟუაზიამ შეცვალა და თავისივე გადმოსახედიდან რაციონალურად განამტკიცა სოციალური და პოლიტიკური სტრუქტურა, რომელსაც წინ უძღოდა ფეოდალიზმი. ამ რეკონსტრუქციის პოლიტიკური ინსტრუმენტი კი დემოკრატიული მეთოდი იყო.“ შუმპეტერის თანახმად, ისტორიულად, თანამედროვე ცივილიზაციის განვითარებაში, კაპიტალიზმი და დემოკრატია მიზეზ-შედეგობრივ ნაწილებად იქცენენ, თუმცა როგორც მოგვიანებით გაჩვენებთ, ის ასევე აღიარებდა მათ შორის არსებულ ანტაგონიზმსაც.

ბარინგტონ მურის ისტორიული გამოკვლევა (1966), თავისი გრძელი სათაურით, ,,დიქტატურისა და დემოკრატიის სოციალური წარმოშობა; ლორდი და გლეხი თანამედროვე სამყაროს შექმნაში“ ამტკიცებს, რომ სამრეწველო მოდერნიზაციას სამი ისტორიული გზა გააჩნდა. მათგან პირველს მიყვებოდა ბრიტანეთი, საფრანგეთი და შეერთებულ შტატები და მოიცავდა, როგორც აგრარული სექტორის დაქვემდებარებას, ასევე, ბურჟუაზიის მზარდ კომერციულ ტრანსფორმაციას, რამაც ჩამოაყალიბა მე-19 და მე-20 საუკუნეების დემოკრატიული კაპიტალიზმი. მეორე გზა გერმანიასა და იაპონიას შეეხო, სადაც არისტოკრატიამ შეძლო მზარდად კომერციული კლასების შეკავება და მათი გაბატონების აღკვეთა, რითაც წარმოიშვა

ინდუსტრიული მოდერნიზაციის ავტორიტარული და ფაშისტური ვერსია. კერძოდ კი კაპიტალიზმის იმგვარი სისტემა, რომელიც მოექცა ფეოდალური ავტორიტარიზმის ჩარჩოებში, სადაც სამხედრო არისტოკრატია და ავტორიტარული მონარქია დომინირებდა. მესამე გზა, რომელსაც რუსეთი მიჰყვებოდა, მოდერნიზაციის პროცესისთვის შინაარსისა და მიმართულების მისაცემად ძალიან სუსტი იყო, ამის ნაცვლად კი მიიღო რევოლუციური პროცესის ფორმა და შექმნა მობილიზებული ავტორიტარული კომუნისტური რეჟიმი, სახელმწიფოს მიერ კონტროლირებადი ინდუსტრიული ეკონომიკა. წარმატებული კაპიტალიზმი, რომელიც დომინირებს და გარდაქმნის აგრარული მეურნეობის სექტორს, ბარინგტონ მურის აზრით, წარმოადგენს XIX საუკუნის განვითარებადი დემოკრატიების მთავარ შემოქმედსა და მხარდამჭერს.

რობერტ ა. დალმა, წამყვანმა ამერიკული დემოკრატიის თეორეტიკოსმა, თავისი წიგნის ახალ გამოცემაში **„რევოლუციის შემდეგ? ავტორიტეტი კარგ საზოგადოებაში“** (1990) შეიტანა ახალი თავი სახელწოდებით "დემოკრატია და ბაზრები.“ ამ თავის საწყის აბზაცში ვკითხულობთ:

> ისტორიული ფაქტია, რომ თანამედროვე დემოკრატიული ინსტიტუტები ... მხოლოდ იმ ქვეყნებში არსებობდა, სადაც საკუთრების ძირითად ფორმას კერძო საკუთრება წარმოადგენდა, ბაზარზე ორიენტირებული ეკონომიკით, ან თუ ამ სახელს ვანიჭებთ უპირატესობას - კაპიტალიზმით. ასევე ფაქტია, რომ ყველა ,,სოციალისტური“ ქვეყანა, სადაც საკუთრებას ძირითადად სახელმწიფო ფლობდა და ეკონომიკური წესრიგი ცენტრალურად იმართებოდა, არსებობდა ე. წ. ,,სარდლობის ეკონომიკა[1]“, არ სარგებლობდა დემოკრატი-

[1] ეკონომიკური საქმიანობის დაგეგმვა და ეკონომიკური ქმედების მართვა ხდება ხელისუფლების ცენტრალური ორგანოების მიერ; საწარმოების ინიციატივა დადის პრაქტიკულად ნულამდე (მთარგმნ. შენიშვნა)

ული მთავრობებით, ნაცვლად კი იმართებოდა ავტორიტარული დიქტატურით. ასევე ისტორიული ფაქტია, რომ ზოგიერთ „კაპიტალისტურ“ ქვეყანას მართავდნენ და მართავენ ავტორიტარი დიქტატურები.

უფრო ფორმალურად რომ ვთქვათ, როგორც ჩანს, ბაზარზე დაფუძნებული ეკონომიკა აუცილებელია (ლოგიკური გაგებით) დემოკრატიული ინსტიტუტებისთვის, თუმცა ისინი, რა თქმა უნდა, არ არის საკმარისი და ერთადერთი პირობა. და როგორც ჩანს, სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული ცენტრალიზებული ეკონომიკური სისტემები მკაცრად ასოცირდება ავტორიტარულ რეჟიმებთან, თუმცა ავტორიტარიზმი ნამდვილად არ მოითხოვს მათ. ეს რაღაც ძალიან ჰგავს ისტორიულ ექსპერიმენტს. (დალი 1990)

პიტერ ბერგერი, წიგნში **„კაპიტალისტური რევოლუცია“** (1986), კაპიტალიზმისა და დემოკრატიის ურთიერთობაზე ოთხ ხედვას გვთავაზობს:

1. მოდერნულ სამყაროში, კაპიტალიზმი დემოკრატიის აუცილებელი, მაგრამ არასაკმარისი პირობაა;

2. თუ კაპიტალისტური ეკონომიკა დაექვემდებარება სახელმწიფოს მზარდ კონტროლს, შეიქმნება მდგომარეობა, სადაც დემოკრატიული მმართველობა შეუძლებელი გახდება;

3. სოციალისტურ ეკონომიკაში საბაზრო ძალების წარმოქმნა ან გაზრდა, შესაძლებელს გახდის დემოკრატიულ მმართველობას;

4. თუ ეკონომიკური ზრდის პროცესში კაპიტალისტური განვითარება წარმატებულად მოხდება, სადაც მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი შეძლებს სარგებლის მიღებას, სავარაუდოდ გაჩნდება ზეწოლა დემოკრატიის მიმართ.

ეს პოზიტიური ურთიერთობა კაპიტალიზმსა და დემოკრატიას შორის ასევე გამყარებულია სტატისტიკური კვლევებით. 1950-იან და 1960-იანი წლების „სოციალური მობილიზაციის“ თეორეტიკოსებმა, მათ შორის დანიელ ლერნერმა (1958), კარლ დოიჩმა (1961), ს. მ. ლიპსეტმა (1959), აჩვენეს ძლიერი სტატისტიკური მიმართება ერთ სულ მოსახლეზე მშპ-სა და დემოკრატიული პოლიტიკური ინსტიტუტების მდგრადობას შორის. ეს უფრო მეტია, ვიდრე მარტივი სტატისტიკური ასოციაცია. არსებობს ლოგიკა ეკონომიკური განვითარების დონესა და დემოკრატიული ინსტიტუტების ფუნქციონირებას შორის. სხვადასხვა მონაცემით დასტურდება, რომ ეკონომიკური განვითარების დონე ასოცირდება განათლებასა და წიგნიერებასთან, მედიის ღიაობასთან, სუბიექტის მონაწილეობით მისწრაფებებთან და დემოკრატიულ პროცესებში ჩართულობისთვის საჭირო უნარებთან. ინდუსტრიალიზაციისა და მოდერნიზაციის სოციალური ფსიქოლოგიის კვლევისას, კვლევითმა ჯგუფმა, სოციოლოგ ალექს ინკელესის (1974) ხელმძღვანელობით, გამოკითხა ექვსი ქვეყნის, განსხვავებული კულტურის რამდენიმე ათასი თანამშრომელი, როგორც მოდერნულ ინდუსტრიულ, ასევე, ტრადიციული ეკონომიკური სექტორებიდან. კვლევამ აჩვენა, რომ ემპათიურ, ეფექტურ, აქტივისტურ და მონაწილეობით მიდრეკილებებს უფრო მეტად ვხვდებით თანამედროვე ინდუსტრიულ სფეროში დასაქმებულებს შორის, ვიდრე ტრადიციულ სექტორში დასაქმებულებში, მიუხედავად მათ შორის არსებული კულტურული განსხვავებებისა.

კაპიტალიზმსა და დემოკრატიას შორის პოზიტიური ურთიერთობის ისტორიული და სტატისტიკური მტკიცებულებები საკმაოდ დამაჯერებელია.

კაპიტალიზმი ამხობს დემოკრატიას

მაგრამ საპირისპირო შემთხვევაც არსებობს, რომლის მიხედვითაც კაპიტალიზმი ძირს უთხრის დემოკრატიას. უკვე ჯონ სტიუარტ მილთან (1848) ვაწყდებით შეხედულებას კერძო საკუთრების არსებული სისტემის შესახებ, როგორც უსამართლოს, ხოლო თავისუფალი ბაზრის შესახებ მსჯელობას, როგორც უკონტროლოდ კონკურენტულ და მორალურად დამაზიანებელ მოვლენას. საქმე, რომელსაც მილი აკეთებდა, უფრო ნორმატიული იყო, ვიდრე პოლიტიკური. მას სურდა ნაკლებად კონკურენტუნარიანი საზოგადოება, რომელიც მაინც პატივისცემას გამოხატავდა ინდივიდუალობის მიმართ. იგი მხარს უჭერდა საკუთრებაზე მემკვიდრეობის შეზღუდვას და ქონებრივი სისტემის გაუმჯობესებას, რათა სარგებელი უფრო ფართო ჯგუფებში გაზიარებულიყო. ამასთან, მილი მხარს უჭერდა მოსახლეობის ზრდის შეზღუდვას და სამუშაო ძალის ხარისხის გაუმჯობესებას, სახელმწიფოს მხრიდან საყოველთაო მაღალი ხარისხის განათლების მიწოდების გზით. ჯონ სტიუარტ მილს სურდა მორალურად გაუმჯობესებული თავისუფალი ბაზრისა და დემოკრატიული წესრიგის წარმოება, მაგრამ მარქსისგან განსხვავებით, მან საფუძვლიანად არ უარყო კაპიტალისტური და დემოკრატიული წესრიგის გაუმჯობესების შესაძლებლობები.

მარქსი ამტკიცებდა, რომ სანამ კაპიტალიზმი და კერძო საკუთრება იარსებებდა, მანამდე შეუძლებელი იქნებოდა ნამდვილი დემოკრატიის არსებობა. მისი აზრით, დემოკრატია კაპიტალიზმში განასახიერებდა ბურჟუაზიულ დემოკრატიას, რომელსაც არაფერი ქონდა საერთო ნამდვილ დემოკრატიასთან, მიუხედავად იმისა, რომ ფეოდალიზმის აღმოსაფხვრელად, მუშათა კლასის ინტერესებში ნამდვილად იქნებოდა ბურჟუაზიასთან კოალიციაში შესვლა, რაც მხოლოდ ტაქტიკურ მანევრად განიხილებოდა. მარქსის აზრით, კაპიტალისტური დემოკრატია მხოლოდ მშრომელთა კლასების მზარდი ექსპლუატაციისკენ იყო მიმართული და მხოლოდ კაპიტალიზმისა და კერძო საკუთრების ჩამოშლით გახდებოდა შესაძ-

ლებელი მუშათა კლასის ემანსიპაცია და ნამდვილი დემოკრატიის მიღწევა. სოციალიზმის მიღწევის შემდეგ კი კაცობრიობის ძირითადი პოლიტიკური პრობლემები გადაიჭრებოდა კლასების გაუქმების გზით. სოციალიზმში არ იქნებოდა კონფლიქტების გადასაჭრელად სახელდახელოდ შექმნილი დემოკრატიული ორგანიზაცია, რადგან თავად კონფლიქტები არ იარსებებდა. მარქსის ნაწერები დემოკრატიის ან პოლიტიკური თეორიის სიჭარბით არ გამოირჩევა, ძირითადად კი წარმოდგენილია რეჟიმი, როგორც ეკონომიკური პროდუქტი და კლასის სტრუქტურა, რომელზეც დაშენებულია სხვა ინსტიტუტების მუშაობა.

მარქსის მიმდევრები დღემდე უარყოფითად აფასებენ კაპიტალიზმის, თუნდაც რეფორმირებული ვერსიის, და დემოკრატიის ურთიერთობას. დასავლელი მარქსისტების უმრავლესობა დღემდე იზიარებს ინტეგრალური მარქსიზმისა და ლენინისეულ უარყოფას ავტონომიური, ბურჟუაზიული დემოკრატიული სახელმწიფოს შესაძლებლობის შესახებ. პულანცასის, ოფეს, ბობიოს, ჰაბერმასის და სხვა მოაზროვნეების შრომებში ბურჟუაზიული დემოკრატიული სახელმწიფო განხილულია კლასობრივი ბრძოლის სივრცედ და არა ცალსახად ბურჟუაზიულ სახელმწიფოდ. მუშათა კლასს კი აქვს მასზე წვდომა, შეუძლია საკუთარი ინტერესებისთვის ბრძოლა და ნაწილობრივ სარგებლის მიღებაც. სახელმწიფო განიხილება როგორც ავტონომიური, ან შედარებით ავტონომიური წარმონაქმნი, რომლის პროგრესული ტრანსფორმაცია შესაძლებელია მუშათა კლასისა და სხვა სოციალური მოძრაობების მხრიდან. ამგვარი პოლიტიკური ქმედებებით, ბურჟუაზიული დემოკრატიული სახელმწიფო შეიძლება გადაიქცეს სოციალისტურ სახელმწიფოდ, ძალადობისა და ინსტიტუციურად დესტრუქციული ქცევის გარეშე.

შუმპეტერმა (1942) სათანადოდ შეაფასა დაძაბულობა კაპიტალიზმსა და დემოკრატიას შორის. მიუხედავად იმისა, რომ ის იზიარებდა ეკონომიკაში კონკურენციასა და პოლიტიკურ წესრიგს შო-

რის მიზეზ-შედეგობრივ კავშირს, მაინც მიუთითებდა, რომ ,,ორგანიზებული კაპიტალისტური ინტერესების არსებობას თან ახლავს გარკვეული გადახრები დემოკრატიის პრინციპიდან, ... რაც სიმართლეა, როგორც დემოკრატიის კლასიკური თეორიის, ასევე, დემოკრატიის თეორიის ჩვენეული პოზიციიდანაც. ერთი თვალსაზრისით, საშუალებების კერძო ინტერესების ხელში მოქცევა, ხშირად ხალხის ნების ჩახშობის მიზნისთვის გამოიყენება. მეორე თვალსაზრისით კი, ეს კერძო საშუალებები ლიდერობის კონკურენტულ მექანიზმზე ჩარევის შესაძლებლობას იძლევა". ის ეხება ზოგიერთ ქვეყანას და კონტექსტს, ,,სადაც პოლიტიკური ცხოვრება პრაქტიკულად მთლიანად გადავიდა ზეწოლის ჯგუფებს შორის ბრძოლაში". მაგრამ ის უარყოფს მოსაზრებას, რომ პოლიტიკური დემოკრატია კაპიტალისტურ საზოგადოებაში არ შეიძლება არსებობდეს. შუმპეტერის გაგებით, პოლიტიკური ლიდერების შერჩევაში და, შესაბამისად, საჯარო პოლიტიკის შემუშავებაში ყველა ზრდასრული ადამიანის ინფორმირებული მონაწილეობა სრულ დემოკრატიაში შუძლებელი იყო, რისი მიზეზიც თანამედროვე ამომრჩევლის წინაშე მდგარი საკითხების სიმრავლე და სირთულეა. რეალურად შესაძლებელი დემოკრატია კი მისთვის გულისხმობს მდგომარეობას, რომელშიც ხალხს შეუძლია კონკურენტულ პირობებში ლიდერებს შორის არჩევანის გაკეთება, რა გზითაც გარკვეული გავლენა გააჩნიათ პოლიტიკურ გადაწყვეტილებებზე. ამგვარი დემოკრატია შესაძლებელი იყო კაპიტალისტურ საზოგადოებაში, თუმცა კაპიტალიზმის გარკვეულმა მიდრეკილებებმა შეაფერხა მისი განხორციელების შესაძლებლობა. მეორე მსოფლიო ომის პირველ წლებში, როდესაც დემოკრატიისა და კაპიტალიზმის მომავალი ჯერ კიდევ გაურკვეველი იყო, შუმპეტერი ზოგიერთ პასუხგაუცემელ შეკითხვას გვთავაზობს: ,,არის თუ არა დემოკრატია კაპიტალიზმის ერთ-ერთი პროდუქტი, რომელიც კაპიტალიზმის დანგრევასთან ერთად მოკვდება? ... ან რამდენად კვალიფიციურია კაპიტალისტური საზოგა-

დოება მის მიერვე შემუშავებული დემოკრატიული მეთოდის მუშაობისთვის?“

არამარქსისტმა პოლიტიკურმა თეორეტიკოსებმა წვლილი შეიტანეს კაპიტალიზმის და დემოკრატიის შერიგების საკითხში. რობერტ ა. დალი, რომელიც აღნიშნავს, რომ კაპიტალიზმი ისტორიულად წარმოადგენდა დემოკრატიის აუცილებელ წინაპირობას, შეერთებულ შტატებში დემოკრატიაზე დაკვირვებისას ხაზს უსვამს მის რისკიანობას, მოქალაქეთა შორის არსებული რესურსების უთანასწორობის კონტექსტში. მაგრამ დალი არსებითად მიგვანიშნებს თანამედროვე დემოკრატიებში პოლიტიკურ-ეკონომიკური ურთიერთობების მრავალფეროვნებაზე.

,,კაპიტალისტური დემოკრატიების კატეგორია“, წერს ის, ,,მოიცავს განსაკუთრებულ მრავალფეროვნებას... დაწყებული მეცხრამეტე საუკუნიდან, laissez faire, ადრეული ინდუსტრიული სისტემები მეოცე საუკუნემდე, უაღრესად რეგულირებული, სოციალური კეთილდღეობის სისტემები, გვიანი ან პოსტინდუსტრიული სისტემები. მეოცე საუკუნის ბოლოსაც კი ,,კეთილდღეობის სახელმწიფოს“ მოდელები განსხვავდება ერთმანეთისგან, მაგალითად, სკანდინავიური სისტემები ხასიათდება რედისტრიბუციის მაღალი ხარისხით, მაღალი გადასახადებით, ყოველისმომცველი სოციალური უზრუნველყოფითა და ნეოკორპორატიული კოლექტიური შეთანხმებებით. კეთილდღეობის ალტერნატიულ მოდელებში კი გვხვდება სუსტი გადანაწილება (რედისტრიბუცია), ზომიერი გადასახადები, სუსტი კოლექტიური მოლაპარაკებების სისტემები, მაგ. შეერთებულ შტატებსა და იაპონიაში“ (1989).

ნაშრომში ,,დემოკრატია და მისი კრიტიკოსები“ (1989) რობერტ დალი ამტკიცებს, რომ დემოკრატიის ნორმატიული ზრდა,

სახელად ,,მესამე ტრანსფორმაცია“[2] ეკონომიკური წესრიგის დემოკრატიზაციას მოითხოვს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, თანამედროვე კორპორატიული კაპიტალიზმი საჭიროებს ტრანსფორმაციას, რამდენადაც მთავრობის კონტროლი და/ან ეკონომიკის სრული ფლობა შესაძლოა დამღუპველი აღმოჩნდეს პლურალიზმისთვის, რომელიც დემოკრატიის არსებობის აუცილებელი მოთხოვნაა. სახელმწიფოს მეგაკორპორაციად გარდაქმნის საშიშროების წინააღმდეგ გამოსავალი კორპორატიული ინდუსტრიის თანამშრომლების კონტროლია. ამ ფორმით ორგანიზებული ეკონომიკა, აღნიშნავს დალი, გააუმჯობესებს პოლიტიკური რესურსების განაწილებას პლურალიზმის განადგურების გარეშე, რომელსაც, კიდევ ერთხელ, დემოკრატიული კონკურენცია მოითხოვს. მათ, ვინც ეჭვქვეშ აყენებს უთანასწორობის პრობლემის გადაჭრის რობერტ დალისეულ რეალისტურ გზას, ის პასუხობს, რომ ისტორია მოულოდნელობებითაა აღსავსე.

ჩარლზ ე. ლინდბლომი წიგნში ,,პოლიტიკა და ბაზრები“ (1977) თანამედროვე კაპიტალიზმისა და სოციალიზმის პოლიტეკონომიის შედარებით ანალიზს, არსებითად პესიმისტური დასკვნით აჯამებს, ის წერს:

> ,,ამიტომ, ჩვენ ვუბრუნდებით კორპორაციას. შესაძლებელია, რომ კორპორაციის აღმავლობამ დააბალანსა ან მეტისმეტად დააბალანსა კლასის, როგორც ინდოქტრინაციის ინსტრუმენტის უარყოფა. ის, რომ კორპორაცია ქმნის სიმდიდრესა და ძალაუფლების ახალ ბირთვს ახლად შექმნილი უმაღლესი კლასისთვის, ისევე როგორც მათ პოლიტიკურ სიძლიერეს, გასაგები მოვლენაა. მსხვილი კორპორაციის აღმასრულებელი ხელმძღვანელი, მრავალი თვალსაზრისით,

[2] ,,პირველ ტრანსფორმაციაში“ იგულისხმება კლასიკური დროის პირდაპირი ქალაქ-სახელმწიფოების დემოკრატია, ხოლო ,,მეორე ტრანსფორმაციაში“ - არაპირდაპირი, თანამედროვე მსოფლიოს წარმომადგენლობითი დემოკრატია).

> თანამედროვეობაში იგივდება ადრინდელი ეპოქის მიწათ-მოქმედ აზნაურთან, ხოლო მისი ხმა დღევანდელობაში გაძ-ლიერებულია მასობრივი კომუნიკაციის და ტექნოლოგიებ-ის დახმარებით. ამიტომ, უფრო სრულყოფილი დემოკრატი-ისთვის მთავარ ინსტიტუციურ ბარიერად შეიძლება კერძო კორპორაციების ავტონომიურობა მივიჩნიოთ.“

ლინდბლომი ასკვნის, რომ ,,დიდი კერძო კორპორაცია უცნა-ურად ჯდება დემოკრატიულ თეორიასა და ხედვაში. ამის წარმოდ-გენა რთულია.“

მარქსისტებიდან და ნეომარქსისტებიდან შუმპეტერამდე, და-ლიმდე, ლინდბლომამდე და სხვა ლიბერალურ პოლიტიკურ თე-ორეტიკოსებამდე, ხედვა, რომ თანამედროვე კაპიტალიზმი დიდი კორპორაციების დომინირებით დემოკრატიის დეფექტურ ან ხე-ლისშემშლელ ფორმას წარმოქმნის, ფართოდ გაზიარებულია.

დემოკრატია ძირს უთხრის კაპიტალიზმს

თუ ჩვენ ახლა შევაბრუნებთ პერსპექტივას და გადავხედავთ, თუ როგორ მოქმედებს დემოკრატია კაპიტალიზმზე, ადამ სმიტი-დან დღემდე ეკონომიკის ერთ-ერთი დომინანტური პერსპექტივა ხაზს უსვამს ეკონომიკის პროდუქტიულობის მნიშვნელობაზე, რო-მელიც შედარებით თავისუფალია სახელმწიფოს მიერ ჩარევისგან. მცირე მმართველობის ამგვარ დოქტრინას გააჩნია წესები, რომე-ლიც აუცილებელია ეკონომიკის პროდუქტიული და ეფექტური მუ-შაობისთვის. ნაწილობრივ მთავრობამ უნდა დაიცვას ბაზარი საკუ-თარი თავისგან. სმიტის აზრით, ბიზნესმენები მიდრეკილნი იყვნენ ბაზარზე მაქსიმალური შესაძლო ფასები დაედგინათ და ასევე, მო-ესყიდათ საჯარო მოხელეები, რათა მოეპოვებინათ სოციალური პრივილეგიები და ლეგალური მონოპოლიები. სმიტისთვის კარგი კაპიტალიზმი იყო კონკურენტუნარიანი კაპიტალიზმი, სადაც კარ-გი მთავრობა მიაწვდიდა მხოლოდ იმ საქონელს და მომსახურებას,

რომელიც ბაზარს განვითარებისთვის დასჭირდებოდა ან თავად ვერ უზრუნველყოფდა. ადამ სმიტი საჭიროებად მხოლოდ მინიმალურ მთავრობას ხედავდა, რომელიც უზრუნველყოფდა ეროვნულ დონეზე უსაფრთხოებასა და საშინაო წესრიგს. ეკონომიკისთვის კი განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო იმგვარი წესები, რომლებიც კომერციულ საქმიანობაში ზომების რეგულირებას, სამშენებლო სტანდარტების დაწესებას და დაცვას, ადამიანებს და მათ ქონებას დაიცავდა.

მილტონ ფრიდმანისთვის (1961, 1981) კი თავისუფალ ბაზარსა და თავისუფალ მთავრობას, ასევე კაპიტალიზმსა და დემოკრატიას შორის მთავარ საფრთხეს თანამედროვე დემოკრატიული სახელმწიფოების მხრიდან კეთილდღეობაზე აღებული პასუხისმგებლობა წარმოადგენდა. ის ადგენს მთავრობისთვის შესაბამის ფუნქციებს ეკონომიკასა და პოლიტიკაში პოზიტიური თანამშრომლობისთვის და შემდეგ ჩამოთვლის არაერთ გზას, რომლითაც რეგულირების მოსურნე და კეთილდღეობის სახელმწიფოების აპოლოგეტებმა გადაუხვიეს ამ კრიტერიუმებს.

ფრიდმანისთვის კარგ, დემოკრატიულ მთავრობას უნდა დაეცვა საკუთრების უფლებები, უნდა მოგვმსახურებოდა, როგორც საშუალება, რომლითაც საკუთრების უფლებები და ეკონომიკური თამაშის სხვა წესების დადგენას შევძლებდით. უნდა დაეცვა წესები, აღესრულებინა კონტრაქტები, ხელს შეეწყო კონკურენციისთვის, ჩართულიყო ტექნიკური მონოპოლიების წინააღმდეგ ბრძოლასა და ,,სამეზობლოების ეფექტის“ შემცირებაში, რაც საკმარისად მნიშვნელოვანი არგუმენტია მთავრობის ჩარევის გასამართლებლად, იქნება ეს უპასუხისმგებლოების დაცვა (გიჟი იქნება თუ ბავშვი), თუ კერძო ქველმოქმედების ან ოჯახის კეთილდღეობის საკითხში. კარგი მთავრობისთვის შესაფერისი აქტივობების ამ ჩამონათვალის საწინააღმდეგოდ, ფრიდმანმა თანამედროვე დემოკრატიული მთავრობის ათზე მეტი ფუნქცია შემოგვთავაზა, რომლის განხორციელ-

ებაც კერძო სექტორის მეშვეობით უმჯობესი იქნებოდა. რაც მოიცავდა ფასთა სისტემის შექმნას, ტარიფებს, იმპორტისა და ექსპორტის კონტროლს, რენტას, საპროცენტო განაკვეთებს, ხელფასის განაკვეთს და მსგავს სამრწეველო და საბანკო საქმეებს, რადიოსა და ტელევიზიის რეგულირებას, პროფესიების ლიცენზირებას, სოციალურ უზრუნველყოფას თუ სამედიცინო დახმარების პროგრამებს, საჯარო საცხოვრისის, პარკების შექმნას, იპოთეკის პოლიტიკას და მრავალ სხვას.

ფრიდმანი ასკვნის, რომ კერძო სექტორზე მუდმივი ზეწოლა ნაბიჯ-ნაბიჯ, მაგრამ აუცილებლად აქცევს ჩვენს თავისუფალ მთავრობასა და საბაზრო სისტემას კოლექტიურ მონსტრად, რაც ზიანს მიაყენებს როგორც თავისუფლებას, ასევე პროდუქტიულობასაც.

1980-იან წლებში გადასახადებისა და რეგულირების წინააღმდეგ არსებულმა წინააღმდეგობრივმა მოძრაობებმა დროებით შეაჩერეს ეს ტენდენცია, მაგრამ საფრთხე განგრძობადია. ,,ეს არის შინაგანი საფრთხე, რომელიც მოდის კეთილი განზრახვებისა და კეთილი ნების მქონე ადამიანებისგან, რომლებსაც სურთ რეფორმირება. მათ აქვთ რწმენა, რომ სოციალური ცვლილებების მიღწევა სახელმწიფოს ჩარევის გზით კი არა, საკუთარ/ინდივიდუალურ შესაძლებლობებშია“. პოლიტიკური და ეკონომიკური თავისუფლების საფრთხე, მილტონ ფრიდმანისა და სხვების აზრით, რომლებიც მსგავს პოზიციას იზიარებენ, წარმოიშობა დემოკრატიული პოლიტიკიდან. მისი დამარცხება მხოლოდ პოლიტიკური მოქმედებითაა შესაძლებელი.

ბოლო ათწლეულების განმავლობაში, ეკონომიკისა და პოლიტიკის მეცნიერების სკოლამ, უფრო მართებული იქნება - ზოგიერთმა სკოლამ, პოლიტიკური პროცესების ანალიზისას ალტერნატიულ ეკონომიკურ მოდელებს დაუჭირეს მხარი. ამ თეორეტიკოსებმა, რომლებსაც სხვადასხვანაირად უწოდებენ საზოგადოებრივი არჩევანის თეორეტიკოსებს, რაციონალური არჩევანის თეორეტიკოსებს,

პოზიტივისტურ პოლიტიკურ თეორეტიკოსებს, წარმოადგინეს მნიშვნელოვანი ლიტერატურა, რომელიც ახალ და ხშირად საკამათო პერსპექტივებს ავრცელებს დემოკრატიული პოლიტიკური ფენომენების შესახებ. სახელდობრ მათი მსჯელობა შეეხება არჩევნებს, პოლიტიკური პარტიების ლიდერთა ქცევებს, ინტერესთა ჯგუფების ქცევებს, საკანონმდებლო და კომიტეტების გადაწყვეტილებებს, ბიუროკრატიულ და სასამართლო ქცევას, ლობირებას და ასევე, საჯარო პოლიტიკის არსებითი სფეროებს, როგორებიცაა: საკონსტიტუციო მოწყობა, ჯანდაცვა და გარემოს პოლიტიკა, მარეგულირებელი პოლიტიკა, ეროვნული უსაფრთხოება და საგარეო პოლიტიკა და სხვა. პოლიტიკისა და საჯარო პოლიტიკის თითქმის არც ერთი სფერო დარჩენილა ხელუხლებელი მკვლევართა ამ ჯგუფის მიერ.

ინსტიტუტები, რომლებთანაც შეერთებულ შტატებში ეს მოძრაობა ასოცირდება, მოიცავს ვირჯინიის სახელმწიფო უნივერსიტეტს, ვირჯინიის უნივერსიტეტს, როჩესტერის, ჯორჯ მეისონის, ჩიკაგოს უნივერსიტეტებს, კალიფორნიის ტექნოლოგიის ინსტიტუტს. ხოლო ყველაზე თვალსაჩინო წარმომადგენლებლად ორი ძირითადი სკოლის ლიდერები - ჯეიმს ბიუქენენი, ვირჯინიის ,,საზოგადოებრივი არჩევანის“ სკოლის ნობელის პრემიის ლაურეატი და უილიამ რიკერი, როჩესტერის ,,პოზიტიური თეორიის“ სკოლის ლიდერი შეიძლება მივიჩნიოთ. სხვა გამოჩენილ მეცნიერებს წარმოადგენენ გარი ბეკერი, ჩიკაგოს უნივერსიტეტიდან, კენეთ შეფსლი და მორის ფიორინა ჰარვარდიდან, ჯონ ფერეჯონი სტენფორდიდან, ჩარლზ პლოტი კალიფორნიის ტექნოლოგიური ინსტიტუტიდან და სხვ.

უილიამ მიტჩელი, ვაშინგტონის უნივერსიტეტიდან, რომელიც აჯამებს ამ ავტორების დიდი ნაწილის იდეოლოგიურ მიდრეკილებებს აღწერს მას, როგორც ფისკალურად კონსერვატულს. ის იზიარებს რწმენას, რომ ,,კერძო ეკონომიკა ბევრად უფრო ძლიერი, ეფექტური და შესაძლოა სამართლიანია, ვიდრე სხვა ტიპის ეკონ-

ომიკა და ამასთან, ბევრად უფრო ეფექტურად ანაწილებს რესურსებს, ვიდრე პოლიტიკური ინსტიტუტები“. ჯეიმს ბიუქენენისა და ამ სკოლის სხვა ლიდერების მიერ შექმნილ თეორიებს ყველაზე ზუსტად აღწერს სათაური ,,პოლიტიკური პროცესების ჩავარდნები - შენაკადები პოლიტიკური პროცესების წარუმატებლობაზე“, სადაც ნათქვამია, რომ პოლიტიკური პროცესის წარუმატებლობა დემოკრატიული პროცესის თანდაყოლილი თვისებაა. ,,უთანასწორობა, არაეფექტურობა და იძულება დემოკრატიული პოლიტიკის ფორმირების ყველაზე ზოგადი შედეგია.“ რამდენადაც, დემოკრატიულ სახელმწიფოში მოთხოვნა საჯარო სერვისებზე დაუცხრომელია, რაც საზოგადოებას ,,ქირავნობის მაძიებელ“ ელემენტად აქცევს. საკანონმდებლო უმრავლესობის შეზღუდვის მიზნით მათი დახმარებები ხარჯვის უფლებამოსილებაზე, დემოკრატიულ კონტროლსა და ბალანსზე შემოთავაზებული კონსტიტუციური შეზღუდვების სახეს იღებს.

დემოკრატიული პოლიტიკის ამგვარი პესიმისტური ეკონომიკური ანალიზის ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო ნიმუშია მანკურ ოლსონის წიგნი ,,ერების აღზევება და დაცემა“ (1982). მისი არგუმენტები დემოკრატიასა და კაპიტალიზმს შორის ნეგატიურ კავშირზე მიუთითებს. მისი თეზისის თანახმად, ინდივიდებისა და კორპორაციების ქცევა სტაბილურ საზოგადოებებში გარდაუვლად იწვევს შეთქმულების, კარტელური და ლობირების ორგანიზაციების მჭიდრო ქსელების ფორმირებას, რაც ეკონომიკას ნაკლებად ეფექტურს, ხოლო პოლიტიკას - ნაკლებად მართვადს ხდის. „რაც უფრო იშვიათია საზოგადოებაში აჯანყებები, მით უფრო ძლიერდებიან ასეთი ორგანიზაციები და მით უფრო ანელებენ ეკონომიკურ ექსპანსიას. საზოგადოებები, სადაც ასეთი ვიწრო ინტერესთა ჯგუფები განადგურებულია, მაგალითად, ომის ან რევოლუციის შედეგად, ძალიან სწრაფი ზრდით სარგებლობენ“. ამის თვალსაჩინო ნიმუშებად

კი, ერთი მხრივ, ბრიტანეთი და მეორე მხრივ, გერმანია და იაპონია მოყავს:

> ამ არგუმენტის ლოგიკა შემდეგში მდგომაროებს, რომ ქვეყნებს, რომლებსაც დიდი ხნის განმავლობაში შეეძლოთ დემოკრატიული ორგანიზაციების თავისუფლება აჯანყების ან ომის გარეშე, ყველაზე მეტად დაზარალდნენ განვითარების წინააღმდეგ მიმართული ჯგუფებისგან. ეს გვეხმარება იმის ახსნაში, თუ რატომ ჰქონდა დიდ ბრიტანეთს, დიქტატურის, ომის თუ რევოლუციის ყველაზე დიდი იმუნიტეტის მქონე სახელმწიფოს, ზრდის უფრო დაბალი ტემპი, ვიდრე სხვა დიდ, განვითარებულ დემოკრატიებს. ბრიტანეთს აქვს სპეციალური ინტერესების მქონე ორგანიზაციების მძლავრი ქსელი, მისი პროფკავშირების რაოდენობას და ძალაუფლებას არ სჭირდება აღწერა. ასევე გასაოცარია პროფესიული ასოციაციებისადმი მათი პატივისცემა და ძალაუფლება... მოკლედ, ასაკთან ერთად, ბრიტანულმა საზოგადოებამ შეიძინა ბევრი მძლავრი ასეთი ორგანიზაცია და ჩაერთო საიდუმლო გარიგებებში, რაც ანელებს მის ადაპტაციას ცვალებად გარემოსთან და ტექნოლოგიებთან. (ოლსონი 1982)

ამის საპირისპიროდ, მეორე მსოფლიო ომის შემდგომ, გერმანიასა და იაპონიაში, ორგანიზაციები, რომლებმაც ისინი დამარცხებამდე მიიყვანა, ყველა დაიშალა, ხოლო ოკუპაციის ქვეშ ჩამოყალიბდა იმგვარი ინკლუზიური ორგანიზაციები, როგორიცაა გენერალური პროფკავშირული მოძრაობა და ინდუსტრიული და კომერციული საზოგადოების ორგანიზაციები. ეს ინკლუზიური ორგანიზაციები მეტ ყურადღებას აქცევდნენ ეროვნულ ინტერესებს და ვიწრო ინტერესის მქონე ორგანიზაციების გარკვეულ დისციპლინირებას ახდენდნენ. ომისშემდგომ ათწლეულებში ორივე ქვეყანამ

სასწაული ეკონომიკური ზრდა განიცადა დემოკრატიულ პირობებში.

ოლსონის თეორია, რომლის მიხედვითაც დემოკრატიული საზოგადოებების მიდრეკილებები ინტერესთა ჯგუფების გაძლიერების მიმართულებით ანგრევს კაპიტალიზმს, ბუნდოვან ლოგიკას ემყარება. ემპირიულმა კვლევამ, რომელიც ინტერესთა ჯგუფების ამ ჰიპოთეზას ამოწმებდა, არაერთგვაროვანი დასკვნები გამოიტანა. ოლსონი იმედოვნებს, რომ საზოგადოება ინფორმირებულია ეკონომიკური ზრდის, სრული დასაქმების მავნე შედეგებზე და რომ თანმიმდევრული მთავრობა, თანაბრი შესაძლებლობები და სოციალური მობილობა წინააღმდეგობაში მოვა ინტერესთა ჯგუფის ქცევასთან, რაც მოიტანს ამ საფრთხეების შესამცირებლად კონტროლის აუცილებლობას. გარკვეულწილად ირონიულია, რომ დემოკრატიის ამ განსაკუთრებული ინტერესის მიმართ დაავადებისგან გამოსავალი, ოლსონის აზრით, არის დემოკრატიული სახელმწიფო, რომელსაც აქვს საკმარისი მარეგულირებელი უფლებამოსილება სპეციფიური ინტერესის მქონე ორგანიზაციების ზრდის გასაკონტროლებლად.

დემოკრატია მხარს უჭერს კაპიტალიზმს

მეოთხე საკითხი, დემოკრატია, როგორც კაპიტალიზმის ხელშემწყობი და გამაძლიერებელი, არ არის ისეთივე მარტივი საკითხი, როგორიც პირველი სამი. ისტორიულად არ შეიძლება საეჭვოდ მივიჩნიოთ, რომ გასულ საუკუნეში საარჩევნო ცენზების გაუქმებამ, პოლიტიკური პარტიების და დემოკრატიის მასობრივმა განვითარებამ, მნიშვნელოვნად არ იმოქმედა კაპიტალისტური ინსტიტუტებისა და მოქმედების განვითარებაზე. ვინაიდან წარმატებული კაპიტალიზმი მოითხოვს რისკის მქონე მეწარმეებს, რომლებსაც აქვთ საინვესტიციო კაპიტალზე წვდომა, გადანაწილების და მარეგულირებელი პოლიტიკისადმი მიდრეკილება, რედისტრიბუციული პო-

ლიტიკა ამცირებს ამგვარ სტიმულებსა და რესურსებს. ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ დემოკრატიული პოლიტიკიდან გარდაუვალი მიდრეკილებები, როგორც ფრიდმანი, ოლსონი და მრავალი სხვა ამტკიცებენ, ამცირებს პროდუქტიულობას და, შემდგომში, კეთილდღეობას.

მაგრამ ზუსტად საპირისპირო არგუმენტი შეიძლება წარმოიშვას ფაქტობრივად ყველა არსებული მოწინავე კაპიტალისტური დემოკრატიის ისტორიული გამოცდილების საფუძველზე. ყველა მათგანი, გამონაკლისის გარეშე, არის კეთილდღეობის სახელმწიფოები გარკვეული ფორმით და ხარისხით, იქნება ეს სოციალური დაზღვევის, ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის ქსელები თუ მარეგულირებელი ჩარჩოები, რომლებიც შექმნილია კაპიტალიზმის მავნე ზემოქმედებისა და ნაკლოვანებების შესამცირებლად. მართლაც, კეთილდღეობის სახელმწიფო მიღებულია მთელ პოლიტიკურ სპექტრში. დაპირისპირება ხდება მისი საზღვრების გარშემო. შეიძლება ისეთი არგუმენტაციაც მივიღოთ, რომ კაპიტალიზმი რომ არ შეცვლილიყო კეთილდღეობის მიმართულებით, მისი გადარჩენა საეჭვო იქნებოდა.

დემოკრატიასა და კაპიტალიზმს შორის ურთიერთობის ისტორია ნათლადაა ნაჩვენები ევროპელი და ამერიკელი მეცნიერების კვლევაში „კეთილდღეობის სახელმწიფოების განვითარება დასავლეთ ევროპასა და ამერიკაში“ (ფლორა და ჰედენჰაიმერი, 1981). კვლევა აჩვენებს ურთიერთობას კაპიტალისტური ინდუსტრიის განვითარებასა და დემოკრატიზაციას შორის, რომელიც გამოიხატება საარჩევნო უფლების გაფართოების, პროფკავშირებისა და მემარცხენე პოლიტიკური პარტიების გაჩენის და კეთილდღეობის ინსტიტუტებისა და პრაქტიკების თანდათანობითი დანერგვის თვალსაზრისით. ბისმარკის, შვედეთისა და დიდი ბრიტანეთის კეთილდღეობის სახელმწიფო ინსტიტუტების ადრეული აღმოცენება დაკავშირებული იყო ამ ქვეყნებში პროფკავშირებისა და სოციალის-

ტური პარტიების აღზევებასთან. საშუალო და უმაღლესი კლასის ლიდერების და პოლიტიკური მოძრაობების მიერ მიღებული გადაწყვეტილებები კეთილდღეობის ღონისძიებების დანერგვასთან დაკავშირებით, როგორებიც იყო სიბერის და უმუშევრობის დაზღვევა, სტრატეგიული გადაწყვეტილებები იყო. მათთან მუდმივ დაპირისპირებაში მოდიოდნენ პროფკავშირული მოძრაობები, რომელთაც შეეძლოთ სამრეწველო საქმიანობის შეჩერება და იმგვარი პოლიტიკური პარტიები მზარდი საპარლამენტო წარმომადგენლობით, რომლებიც ემხრობოდნენ კაპიტალიზმის ფუნდამენტურ მოდიფიკაციას ან მის გაუქმებას. როგორც უმაღლესი და საშუალო ფენის ლიდერების გამოთვლებმა აჩვენეს, ჩახშობის შემთხვევაში ხარჯები აღემატებოდა დათმობის პოლიტიკით გათვლილ ხარჯებს, რამაც კეთილდღეობის სახელმწიფოების ეტაპობრივი შესუსტება გამოიწვია. ორი მსოფლიო ომის განმავლობაში მუშათა კლასის ლოიალობის შენარჩუნების პრობლემამ განაპირობა მათი დამატებითი მოთხოვნების დაკმაყოფილება: სოციალური უზრუნველყოფის სისტემის შევსება, უფასო საჯარო განათლება მაღალ დონეზე, საოჯახო შემწეობა, საბინაო შეღავათები და სხვა.

სოციალური პირობები, ისტორიული ფაქტორები, პოლიტიკური პროცესები და გადაწყვეტილებები კეთილდღეობის სახელმწიფოს სხვადასხვა ვერსიას აწარმოებდა. შეერთებულ შტატებში საყოველთაო ხმის უფლება საკმაოდ ადრე მიიღეს, მოგვიანებით მას მოჰყვა თავისუფალი მიწისა და საშუალო საფეხურზე უფასო განათლების შესაძლებლობა. ბრიტანეთში დიზრაელის შეთანხმებამ გამოიწვია შედარებით ადრეულ ასაკში მყოფთათვის ხმის მიცემის უფლება და საპარლამენტო მმართველობის წარმატებულობა, ხოლო ლოიდ ჯორჯის შეთანხმებით პირველი მსოფლიო ომის წინა დღეს ბრიტანეთში კეთილდღეობის სისტემის საწყისებს ჩაეყარა საფუძველი. ბისმარკის გარიგებამ გერმანიაში შექმნა ადრეული კეთილდღეობის სახელმწიფო, საარჩევნო თანასწორობისა და მტკიცე

საპარლამენტო მმართველობით. მიუხედავად იმისა, რომ არსებობდა ყველა ეს განსხვავება ისტორიულ შეტაკებებში დემოკრატიზაციასთან და „კეთილდღეობასთან“, მნიშვნელოვანი შედეგი იყო ის, რომ პროცესის დაწყებიდან საუკუნეზე მეტი ხნის შემდეგ, ყველა მოწინავე კაპიტალისტურ დემოკრატიას ჰქონდა კეთილდღეობის სახელმწიფოს მსგავსი ვერსიები, უფრო მცირე მასშტაბები შეერთებული შტატებისა და იაპონიას, უფრო ხელშესახები დიდ ბრიტანეთსა და კონტინენტური ევროპის ქვეყნებს.

შესაბამისად, ჩვენ შეგვიძლია ვაჩვენოთ ძლიერი არგუმენტი იმის შესახებ, რომ სტრატეგიულად დემოკრატია მხარს უჭერდა კაპიტალიზმს. კაპიტალიზმის კეთილდღეობის ადაპტაციის გარეშე მისი გადარჩენა საეჭვო იქნებოდა, უფრო სწორად, მის გადარჩენას დასჭირდებოდა „არაკეთილსინდისიერი“ რეპრესიული აპარატი. არჩევანი მაშინ, როგორც ჩანს, იყო დემოკრატიული კეთილდღეობის კაპიტალიზმსა და რეპრესიულ არადემოკრატიულ კაპიტალიზმს შორის. ვემხრობი იმ აზრს, რომ კაპიტალიზმი, როგორც ასეთი, უფრო აყვავდება დემოკრატიულ კეთილდღეობასთან ადაპტაციით, ვიდრე რეპრესიულ სისტემასთან. სწორედ ამ გაგებით შეგვიძლია ვამტკიცოთ, რომ დემოკრატიას აქვს აშკარა დადებითი გავლენა კაპიტალიზმზე.

* * *

დასკვნის სახით უნდა ვაღიაროთ, რომ დემოკრატია და კაპიტალიზმი, როგორც დადებითად, ასევე, უარყოფითადაც არის ერთმანეთთან დაკავშირებული. ისინი ერთდროულად აძლიერებენ და, ამასთან, არღვევენ ერთმანეთის თანაარსებობას. ჩემმა კოლეგამ, მოსეს აბრამოვიჩმა, ეს დიალექტიკა, სხვებზე უფრო დამარწმუნებლად აღწერა, ამერიკის ეკონომიკური ასოციაციის საპრეზიდენტო მიმართვაში 1980 წელს, ,,რეიგანის რევოლუციის“ წინა დღეს. აღნიშნავდა რა ამერიკული ეკონომიკის პროდუქტიულობის შემცირებას 1960-იან და 70-იან წლებში, აცნობიერებდა, რომ ეს კლება ნაწი-

ლობრივ განპირობებული იყო კეთილდღეობის სახელმწიფოს ,,გადასახადებისა და მარეგულირებელი“ ტენდენციებით:

> ,,ჩვენი შერეული ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობა, შეიძლება დავინახოთ, როგორც პრაგმატული კომპრომისი დეცენტრალიზებულ საბაზრო კაპიტალიზმსა და სოციალიზმს შორის. მისი მიზანია განაწილებითი სამართლიანობისა და უსაფრთხოების სისტემის მიღწევა, ასევე ეკონომიკური ცხოვრების წარმართვა სოციალური პრინციპების დაცვით ისე, რომ ბოლომდე არ დაკარგოს კერძო მეწარმეობისა და საბაზრო მოწყობის ეფექტიანობა და დინამიზმი. ეს კი, გარკვეული აზრით, პრაგმატული კომპრომისია. ის ცდილობს ადამიანთა უმრავლესობისთვის შეინარჩუნოს სახელმწიფოსგან პირადი დაცვის ის ზომა, რომელსაც ანიჭებს კერძო საკუთრება და კერძო შრომის ბაზარი, ხოლო დაუცველი უმცირესობისთვის სახელმწიფოს დახმარებით მოიპოვოს მხარდაჭერის ის ზომა, რომლის გარეშეც მათ საკუთრებას ან პირად კეთილდღეობას საფრთხე, რომელიც მათ ინდივიდუალური თავისუფლებას უარყოფას განაპირობებდა არ შექმნილიყო. (აბრამოვიჩი. 1981)"

დემოკრატიული კეთილდღეობის კაპიტალიზმი თანადროულად აწარმოებს დაპირისპირებულ და შემავსებელი ელემენტების ერთობლიობას, რაც შესაძლებელს ხდის ამ ინსტიტუტის გადარჩენას ან თუნდაც მის გაძლიერებას. ეს არ არის სტატიკური შეთანხმება, არამედ ის, რომელიც ცვალებადია. დროის გარკვეულ მონაკვეთში, კაპიტალიზმი კომპრომისზე მიდის სახელმწიფოს მიერ გადასახადების და რეგულაციების დაწესებთან, შემდეგ კი ცდილობს სახელმწიფოს ჩარევის შემცირებას, რათა შეამციროს ეკონომიკაში მიმდინარე მნიშვნელოვანი რხევები.

კაპიტალიზმის და დემოკრატიის კონფლიქტის მიმართებას საკმაოდ ამაღლევებლად აღწერს იაკობ ვინერი, რომელიც აბრამო-

ვიჩსაც აქვს დასკვნით ნაწილში ციტირებული. ,,თუ, როდესმე მაინც დავასკვნი და ვირწმუნებ კეთილდღეობის სახელმწიფოს, როგორც ძველ სივაშს, ნებისმიერ კონკურენტ სისტემასთან შედარებით, მისთვის ნამდვილად ეღირება ბრძოლა, სიკვდილიც კი. მიუხედავად იმისა, რომ თეორიასა და პრაქტიკაში ის არასრულყოფილი სახით გვხვდება, მთლიანობაში ის უფრო მეტ დაპირებას იძლევა ადამიანის თავისუფლებების შენარჩუნებისა და გაფართოებისთვის, კეთილდღეობისთვის, მასობრივი უბედურების მოსპობასა თუ ადამიანის ღირსების დაცვაში. ადამიანის გონებას შეუძლია შექმნას გეგმა მისი მორალური გაუმჯობესებისთვის, ვიდრე ნებისმიერი სხვა სოციალურ სისტემას, რომელიც ადრე იყო გაბატონებული ან რომელიც დღეს სხვა ფორმებში არსებობს, ან არსებობს უტოპიის მიღმაც“. (Abramovitz, 1981).

ბიბლიოგრაფია:

1. Abramovitz, Moses. 1981. "Welfare Quandaries and Productivity Concerns."' American Economic Review, March.

2. Berger, Peter. 1986. The Capitalist Revolution. New York: Basic Books.

3. Dahl, Robert A. 1989. Democracy and Its Critics. New Haven: Yale University Press.

4. Dahl, Robbert A. 1990. After the Revolution: Authority in a Good Society, New Haven: Yale University Press.

5. Deutsch, Karl. 1961. "Social Mobilization and Political Development." American Political Science Review, 55 (Sept.).

6. Flora, Peter, and Arnold Heidenheimer. 1981, The Development of Welfare States in Western Europe and America. New Brunswick, NJ: Transaction Press.

7. Friedman, Milton. 1981. Capitalism and Freedom. Chicago: University of Chicago Press.

8. Hirschman, Albert. 1986. Rival Views of Market Society. New York: Viking.

9. Inkeles, Alex, and David Smith. 1974, Becoming Modern: Individual Change in Six Developing Countries. Cambridge, MA: Harvard University Press.

10. Lerner, Daniel. The Passing of Traditional Society. New York: Free Press. Lindblom, Charles E. 1977. Politics and Markets. New York: Basic Books.

11. Lipset, Seymour M. 1959. "Some Social Requisites of Democracy." American Political Science Review, 53 (September).

12. Mill, John Stuart. 1848, 1965. Principles of Political Economy, 2 vols. Toronto: University of Toronto Press.

13. Mitchell, William. 1988. "Virginia, Rochester, and Bloomington: Twenty-Five Years of Public Choice and Political Science" Public Choice, 56: 101-119.

14. Moore, Barrington. 1966. The Social Origins of Dictatorship and Democracy. New York: Beacon Press.

15. Olson, Mancur. 1982. The Rise and Decline of Nations. New Haven: Yale University Press.

16. Schumpeter, Joseph. 1946. Capitalism, Socialism, and Democracy. New York: Harper.